საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №90/18-2

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 22 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 18 ივლისის №90/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მოსამართლის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობაზე უთითებს. კერძოდ, აცხადებს რომ მოსამართლემ არ განიხილა მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა, რომ საქმეში მესამე პირად ჩაბმულიყო აღსრულების ეროვნული ბიურო. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არ მისცა სათანადო შეფასება მის განცხადებებს და შუამდგომლობებს, მიიღო უკანონო განჩინებები, არასწორად დაასაბუთა გადაწყვეტილება და დაარღვია შეჯიბრებითობის პრინციპი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 10 აგვისტოს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - შპს „--“-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.
2017 წლის 30 მარტს -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.
-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.
2018 წლის 28 მარტს -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა -- --.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის განჩინებით -- -- საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- სააპელაციო სასამართლოს -- საქმეთა პალატის 2017 წლის 22 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.
2018 წლის 09 იანვარს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით მიმართა საჩივრის ავტორმა და მოითხოვა, მოპასუხის ანგარიშებზე ყადაღის დადება. 2018 წლის 09 იანვრის განჩინებით, -- -- შუამდგომლობა დარჩა განუხილველი.
2018 წლის 09 იანვარს წარდგენილ იქნა საჩივრის ავტორის განცხადება სასამართლოს სრული შემადგენლობის აცილებასთან დაკავშირებით. 2018 წლის 18 იანვრის განჩინებით აღნიშნული განცხადება დაკმაყოფილდა.
2018 წლის 22 იანვარს შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმე გადაეცა მოსამართლე -- --. (თავმჯდომარე - -- --, მოსამართლეები - -- --, -- --).
2018 წლის 12 თებერვალს -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქმის განხილვა გონივრულ ვადაში.
-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 14 თებერვლის განჩინებით დაინიშნა საქმის განხილვა 2018 წლის 20 თებერვალს.
2018 წლის 16 თებერვალს -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და ითხოვა საქმეში აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩაბმა მოპასუხე მხარედ; ასევე განცხადებით ითხოვა სასამართლოში წარდგენილი საბუთების საგამოძიებო ორგანოებისთვის გადაგზავნა.
2018 წლის 20 თებერვლის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება.
ამასთან, 2018 წლის 20 თებერვლის განჩინებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ -- -- სარჩელის საფუძველზე სააღსრულებო ბიუროს წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოება უკვე

მიმდინარეობდა, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 89-ე მუხლის კონტექსტში აღარ არსებობდა ის წინაპირობები, რაც განსახილველ სამართალწარმოებაში აღსრულების ბიუროს მონაწილეობას განაპირობებდა.
-- სააპელაციო სასამართლოში 2018 წლის 21 თებერვალს -- -- წარადგინა საჩივარი 2018 წლის 20 თებერვლის საოქმო განჩინებაზე.
2018 წლის 28 მარტს -- -- წარადგინა საკასაციო საჩივარი -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 თებერვლის განჩინებაზე.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 26 აპრილის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად; შპს „--"-ისა და სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის დელიქტური ვალდებულებისათვის, 6 წლის მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის ანაზღაურების სოლიდარულად დაკისრების მოთხოვნის ნაწილში წარდგენილი საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად; შეწყდა წარმოება -- -- იმ მოთხოვნებზე, რომლებიც შეეხებოდა: -- საქალაქო სასამართლოს -- სამართლის საქმეთა კოლეგიისათვის, საგამოძიებო ორგანოებისათვის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის საქმის გადაცემას.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

3.1. ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

ამდენად, მოსამართლე -- -- შესაბამისი განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აღნიშნული საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული განჩინების კანონიერებაზე.

3.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის #დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივი შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოცემულ შემთხვევაში საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ წარდგენილი შუამდგომლობების განხილვის ვალდებულების შეუსრულებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული; მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. ერთგვაროვანი შუამდგომლობები სასამართლოს ერთად წარედგინება. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის დაყენება ემსახურება პროცესის გაჭიანურებას, იგი ხსნის ამ შუამდგომლობას. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ მხარე პროცესის გაჭიანურების მიზნით აყენებს შუამდგომლობებს, იგი მხარეებს ართმევს შუამდგომლობების დაყენების უფლებას და გადადის საქმის განხილვის შემდეგ სტადიაზე.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარდგენილი შუამდგომლობები განეკუთვნება სააპელაციო საჩივრის ფარგლებში წინსწრები საოქმო განჩინებების შემოწმებასა და რევიზიას, რაც თავისი არსით არ წარმოადგენს ახალ არსებით შუამდგომლობებს. ამასთან, საჩივრის ავტორის განცხადება, რომ მოსამართლემ არ განიხილა მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა საქმეში მესამე პირად ჩაბმულიყო აღსრულების ეროვნული ბიურო საქმის მასალების მიხედვით არ დასტურდება. კერძოდ, აღნიშნული ფაქტი 2018 წლის 20 თებერვლის განჩინებაშია შეფასებული.

შესაბამისად, მოსამართლე -- -- შესაბამისი განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, აღნიშნული საკითხის შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №90/18-2 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი